სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-07/38

ქ. თბილისი

12 აპრილი 2023 წ.

თვითდაფინანსებაზე მყოფი გასაუქმებელი ცენტრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილისა და სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი „უტილიზაციის“ დირექტორის რაულ კოკილაშვილის სამსახურებრივი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი სამეცნირო-საინჟინრო ცენტრი „უტილიზაცია“;
2. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი). საკითხს გაიტანს სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილე, პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**